

დამტკიცებულია
სამეთვალყურეო საბჭოს
2025 წლის 2 მაისის
N250502 გადაწყვეტილებით

სააქციო საზოგადოება
„საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“

აუდიტის კომიტეტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. „კომიტეტის“ უფლებამოსილება და მიზანი

- 1.1. წინამდებარე დებულება (შემდგომში „**დებულება**“) განსაზღვრავს სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ (ს/ნ: 404642892, შემდგომში „**კომპანია**“) აუდიტის კომიტეტის (შემდგომში „**კომიტეტი**“) მუშაობის ძირითად პრინციპებს, მიზნებს, ფუნქციებს, უფლებებსა და ვალდებულებებს.
- 1.2. „კომიტეტი“ შეიქმნა „კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს (შემდგომში „**სამეთვალყურეო საბჭო**“) მიერ 2022 წლის 23 სექტემბერს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.
- 1.3. „კომიტეტის“ ძირითადი მიზანია დახმარება გაუწიოს „სამეთვალყურეო საბჭოს“ შემდეგი საკითხების ზედამხედველობაში და უზრუნველყოს:
 - ა) „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების სისრულეზე და უტყუარობაზე კონტროლის განხორციელება;
 - ბ) შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობა; და
 - გ) „კომპანიის“ გარე აუდიტორთან ურთიერთობის წარმართვა, ასევე, გარე აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის“ შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების (მათ შორის, დამოუკიდებლობის შესახებ ნორმების) დაცვა.
- 1.4. „კომიტეტის“ ზემოაღნიშნული მიზნისა და ქვემოთ მოცემული მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისად, „კომიტეტს“ ენიჭება „კომპანიის“ ფინანსური და აუდიტთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის ან საქმიანობის ზედამხედველობის უფლებამოსილება და ყველა დასაქმებულს ეძლევა მითითება, ითანამშრომლოს მასთან, „კომიტეტის“ წევრების მოთხოვნის საფუძველზე. ამასთან, „კომპანია“ გამოყოფს „კომიტეტის“ მიერ განსაზღვრულ შესაბამის დაფინანსებას იმისათვის, რომ „კომიტეტმა“ გაიღოს მიმდინარე ადმინისტრაციული ხარჯები, რაც საჭირო ან მიზანშეწონილია „კომიტეტის“ მიერ მისი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესრულებისთვის.

2. „კომიტეტის“ წევრობა

- 2.1. „კომიტეტი“ წარმოადგენს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს და ანგარიშვალდებულია „კომპანიის“ „სამეთვალყურეო საბჭოს“ წინაშე.
- 2.2. „კომიტეტი“ დაკომპლექტებულია „სამეთვალყურეო საბჭოს“ წევრებით, რომელთაგან სულ მცირე 1 (ერთი) უნდა იყოს დამოუკიდებელი წევრი.
- 2.3. „კომიტეტის“ თავმჯდომარე (შემდგომში „**თავმჯდომარე**“) უნდა იყოს დამოუკიდებელი და იმავდროულად არ უნდა იყოს „სამეთვალყურეო საბჭოს“ ან/და „კომპანიის“ შიგნით არსებული რომელიმე სხვა კომიტეტის თავმჯდომარე. „თავმჯდომარის“ და მისი მოადგილის არყოფნის შემთხვევაში, „კომიტეტის“ დანარჩენი დამსწრე წევრები ერთ-ერთ წევრს ირჩევენ სხდომის თავმჯდომარედ.
- 2.4. „კომიტეტის“ სხდომაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ „კომიტეტის“ წევრებს. ამასთან, აუცილებლობის ან მიზანშეწონილობის შემთხვევაში, „თავმჯდომარის“ თანხმობით, სხვა პირები შესაძლოა მიწვეულ იქნან „კომიტეტის“ სხდომაზე ან მის ნაწილზე დასასწრებად.
- 2.5. იმ შემთხვევაში, როდესაც „კომიტეტის“ მიერ განსახილველი საკითხები შეიცავს ისეთ საკითხს, რომლის მიმართაც „კომიტეტის“ წევრს გააჩნია დადასტურებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი, ასეთი წევრი არ იღებს მონაწილეობას მასთან დაკავშირებული

საკითხის განხილვაში ან/და გადაწყვეტაში. შესაბამისად, აღნიშნული წევრის ხმა არ იანგარიშება „კომიტეტის“ სხდომაზე კვორუმის დათვლისას.

3. „კომიტეტის“ სხდომა და ხმის მიცემა

- 3.1. „კომიტეტი“ იკრიბება წელიწადში ოთხჯერ. გარკვეულ შემთხვევებში „კომიტეტის“ სხდომა შესაძლოა მოწვეულ იქნას „სამეთვალყურეო საბჭოს“ მიერ.
- 3.2. სათანადო წესების დაცვით მოწვეული „კომიტეტის“ სხდომა, რომელზეც შემდგარია კვორუმი, უფლებამოსილია განახორციელოს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები. „კომიტეტი“ გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. წევრებს შორის ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია „თავმჯდომარის“ ხმა.
- 3.3. „კომიტეტის“ სხდომა მოიწვევა სხდომის მდივნის (შემდგომში „მდივანი“) მიერ, „კომიტეტის“, ან „კომპანიის“ უმაღლესი მენეჯმენტის რომელიმე წევრის მოთხოვნის საფუძველზე.
- 3.4. თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული, „კომიტეტის“ სხდომის მოწვევის შესახებ შეტყობინება „კომიტეტის“ თითოეულ წევრს უნდა გაეგზავნოს ასეთი სხდომის გამართვის თარიღამდე არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე.
- 3.5. შეტყობინებები, სხდომის დღის წესრიგი და ნებისმიერი სხვა დამატებითი დოკუმენტი შესაძლებელია გაიგზავნოს ელექტრონული ფორმით.
- 3.6. „კომიტეტის“ სხდომის ოქმს ადგენს „მდივანი“ და „თავმჯდომარესთან“ ერთად ხელს აწერს მას. ინტერესთა კონფლიქტის ან ნებისმიერი სხვა გონივრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, სხდომის ოქმის ხელმოწერის დელეგირება შესაძლებელია განხორციელდეს „კომიტეტის“ რომელიმე სხვა წევრზე.

4. „კომიტეტის“ ფუნქციები და ვალდებულებები

- 4.1. „კომიტეტი“ ზედამხედველობას უწევს „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების ერთიანობასა და უტყუარობას, მათ შორის წლიურ და გარდამავალ ანგარიშებს, წინასწარი შედეგების გამოცხადებას და ნებისმიერ სხვა ოფიციალურ ანგარიშგებას, რომელიც უკავშირდება „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებს, აგრეთვე, აუდიტორთან განხორციელებული კომუნიკაციის გათვალისწინებით, განიხილავს და „სამეთვალყურეო საბჭოს“ წარუდგენს ანგარიშს მნიშვნელოვანი ფინანსური საკითხების, ფინანსური ანგარიშგებისა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული შესაბამისი დასკვნების შესახებ.
- 4.2. „კომიტეტი“ განიხილავს და საჭიროების შემთხვევაში აფასებს:
 - ა) ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საბუღალტრო აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკის გამოყენებასა და მასში განხორციელებულ ცვლილებებს;
 - ბ) აუდიტის შედეგად განხორციელებულ ნებისმიერ მნიშვნელოვან შესწორებას;
 - გ) „კომპანიის“ სახელმძღვანელო პრინციპებს, პოლიტიკასა და პროცესებს „კომპანიის“ ფინანსურ კონტროლთან და პროცედურებთან დაკავშირებით, მათ შორის „კომპანიის“ დონეზე მნიშვნელოვანი რისკის საფრთხეებს, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ფინანსურ ანგარიშგებებზე, ოპერაციებზე, საქმიანობის უწყვეტობაზე, რეპუტაციაზე და განიხილავს ღონისძიებებს, რომლებსაც მიმართა „კომპანიის“ ხელმძღვანელობამ ასეთი საფრთხეების მონიტორინგისა და კონტროლისთვის;

- დ) „კომპანიის“ ფინანსურ ინფორმაციას „კომპანიის“ გენერალურ დირექტორთან ერთად, რომელსაც ეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა „კომპანიის“ ფინანსურ ანგარიშგებებზე და ინფორმაციის გამჟღავნებაზე;
- ე) სხვა საკითხებს, რაც უკავშირდება საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებული „კომიტეტის“ ფუნქციების შესრულებას.
- 4.3. „სამეთვალყურეო საბჭოს“ მოთხოვნის შემთხვევაში, „კომიტეტი“ განიხილავს წლიურ ანგარიშსა და ანგარიშგებას და რეკომენდაციას აძლევს „სამეთვალყურეო საბჭოს“ მათი სისწორის, უტყუარობის, დაბალანსებულობისა და სიცხადის შესახებ, ასევე წარადგენს ინფორმაციას, რაც აუცილებელია აქციონერების მიერ „კომპანიის“ მდგომარეობის, მუშაობის, ბიზნეს მოდელისა და სტრატეგიის შესაფასებლად.
- 4.4. „კომიტეტი“ განიხილავს და რეკომენდაციას აძლევს „სამეთვალყურეო საბჭოს“ გარე აუდიტორის მომსახურებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მისი მომსახურების ვადის გაგრძელებასთან და შეცვლასთან ერთად, „კომიტეტი“ უფლებამოსილია აქციონერთა ყოველწლიურ საერთო კრებაზე დააყენოს გარე აუდიტორის მიერ აუდიტორული მომსახურების პირობებისა და შესაბამისი ანაზღაურების საკითხი, ასევე ზედამხედველობა გაუწიოს „კომპანიისა“ და გარე აუდიტორის კოორდინაციას.
- 4.5. შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობის უზურნველყოფის მიზნით, „კომიტეტი“ ვალდებულია:
- ა) თვალი ადევნოს „კომპანიის“ შიდა კონტროლის მექანიზმებს;
 - ბ) განიხილოს შიდა ინსპექტირების შედეგად კონტროლის სისუსტესთან, თაღლითობასთან ან სამსახურებრივ გადაცდომასთან დაკავშირებით შედგენილი მნიშვნელოვანი დასკვნები;
 - გ) განიხილოს და ზედამხედველობა გაუწიოს მენეჯმენტის რეაგირებას კონტროლის სისუსტეზე, გარე აუდიტორის მიერ გამოვლენილ სხვა სისუსტეებზე და ასევე, კანონმდებლობასთან, რეგულაციებთან და შიდა პროცედურებთან შეუსაბამობაზე;
 - დ) განახორციელოს „კომპანიისთვის“ რელევანტური ძირითადი რისკების შეფასება;
 - ე) ზედამხედველობა გაუწიოს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, ინფორმაციულ უსაფრთხოებას, კორპორაციულ უსაფრთხოებას და საოპერაციო რისკების მსგავს მიმართულებებს;
 - ვ) განიხილოს თაღლითობის, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის გამოვლენისა და პრევენციის „კომპანიაში“ არსებული მექანიზმები;
 - ზ) განიხილოს და აუცილებლობის შემთხვევაში დაამტკიცოს ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკის მართვის პროცედურები;
 - თ) განიხილოს და დაამტკიცოს „კომპანიის“ ისეთი პოლიტიკები და პროცედურები, რაც შესაძლოა პერიოდულად მოთხოვნილ იქნას „სამეთვალყურეო საბჭოს“ მიერ.

5. სხვა საკითხები

- 5.1. „კომიტეტი“ ანგარიშვალდებულია „სამეთვალყურეო საბჭოს“ წინაშე და აძლევს მას რეკომენდაციებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ნებისმიერ სფეროში, სადაც „კომიტეტი“ ჩათვლის, რომ არსებობს რაიმე ქმედების ან გაუმჯობესების საჭიროება.
- 5.2. „კომიტეტს“ უნდა გააჩნდეს საკმარისი რესურსი იმისთვის, რომ განახორციელოს დაკისრებული ვალდებულებები და საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში ზედამხედველობა გაუწიოს ქმედებების ინსპექტირების პროცესს.

- 5.3. „კომიტეტი“ უფლებამოსილია „სამეთვალყურეო საბჭოს“ მიერ და მას მინიჭებული აქვს მანდატი:
- ა) საკუთარი უფლება-მოვალეობების შესასრულებლად მოიძიოს და გამოითხოვოს „კომპანიის“ ნებისმიერი თანამშრომლისგან ნებისმიერი სახის ინფორმაცია;
 - ბ) მოიწვიოს და გამოჰკითხოს „კომიტეტის“ სხდომაზე „კომპანიის“ ნებისმიერი თანამშრომელი, როდესაც „კომიტეტი“ ამას საჭიროდ ჩათვლის;
 - გ) „კომპანიის“ ხარჯზე მიიღოს კონსულტაცია ნებისმიერ პირისგან, როგორც ამას „კომიტეტი“ ჩათვლის საჭიროდ ნაკისრი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესრულებისთვის, მათ შორის სამართლებრივი ან სხვა სახის პროფესიული კონსულტაცია გარე წყაროსგან ნებისმიერ საკითხზე;
 - დ) განახორციელოს საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი დელეგირება, ასევე საკუთარი შეხედულებისამებრ ჩამოაყალიბოს ქვეკომიტეტები.
- 5.4. „კომიტეტი“ უზრუნველყოფს საკუთარი საქმიანობის პერიოდული შეფასების ორგანიზებას.
- 5.5. „კომიტეტი“ განიხილავს და ხელახლა აფასებს წინამდებარე „დებულების“ ადეკვატურობას არანაკლებ წელიწადში ერთხელ და ასევე განიხილავს (შესაბამის შემთხვევაში) და რეკომენდაციას აძლევს „სამეთვალყურეო საბჭოს“ დაამტკიცოს სათანადო დამატებები ან ცვლილებები „კომიტეტის“ საქმიანობებში, მოვალეობებში და პასუხისმგებლობებში ან წინამდებარე „დებულებაში“.
- 5.6. „კომიტეტი“ ადგენს „კომპანიის“ მიერ მიღებული საჩივრების მიღებისა და განხილვის პროცედურებს, ბუღალტრულ აღრიცხვასთან, აღრიცხვის კონტროლთან ან აუდიტის საკითხებთან დაკავშირებით, და სადავო ბუღალტრული აღრიცხვის ან აუდიტორული საკითხების კონფიდენციალური, ანონიმური წარდგენის პროცედურებს თანამშრომლების მიერ.
- 5.7. იმის მიუხედავად, რომ „კომიტეტს“ ეკისრება წინამდებარე „კომიტეტის“ „დებულებით“ განსაზღვრული მოვალეობები და პასუხისმგებლობები, მის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებში არ შედის აუდიტის ჩატარება ან იმის დადგენა, არის თუ არა „კომპანიის“ სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები ადეკვატური ან სრული, რაც „კომპანიის“ გენერალური დირექტორის პასუხისმგებლობაა. „კომპანიის“ გენერალური დირექტორი (და არა „კომიტეტი“) ასევე პასუხისმგებელია უზრუნველყოს „კომპანიის“ მიერ მოქმედი კანონმდებლობის, რეგულაციების და კორპორატიული პოლიტიკის დაცვა.